სარევიზიო კომისიის ანგარიში საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფი) 2025 წლის საქმიანობის შესახებ

პატივცემულო ბაფის წევრებო, მოწვეულო სტუმრებო, გაგაცნობთ საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის 2025 წლის საქმიანობის შემოწმების ანგარიშს, რომელიც სარევიზიო კომისის მიერ ჩატარდა მიმდინარე წლის 15 მაისიდან 25 მაისამდე პერიოდში. საქმიანობაზე კონტროლის განსახორციელებლად ვიხელმძღვანელეთ სარევიზიო კომისიის დებულებით. შემოწმებისას მოვახდინეთ საკითხების თემატური შესწავლა, მათი ანალიზი და გავაკეთეთ საქმიანობის შეფასება.

წარმოგიდგენთ ჩატარებული რევიზიის შედეგების მიმოხილვას, სარევიზიო კომისიის დებულების მოთხოვნების გათვალისწინებით:

1. გამგეობის საქმიანობა და ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების დაცვა

ბაფი, წესდების შესაბამისად, საქმიანობას ახორციელებს გამგეობის, აღმასრულებელი დირექტორისა და კომიტეტების მიერ შემუშავებული და დამტკიცებული შიდა პოლიტიკის და მენეჯერული პროცედურების საფუძველზე.

საანგარიშო პერიოდში, საოქმო ჩანაწერების მიხედვით, ჩატარებულია გამგეობის 8 სხდომა. სხდომებზე განხილული თემებიდან გამოვყოფთ:

- ბაფის 2024 წლის საქმიანობის ანგარიშის განხილვა/დამტკიცება;
- კომიტეტების თავმჯდომარეობის კანდიდატურებისა და შემადგენლობის (წევრების) განახლება;
- კომიტეტების 3 წლიანი სამოქმედო გეგმების განხილვა-დამტკიცება;
- ბაფის 2025 წლის შემოსავლებისა და ხარჯების პროექტის განხილვა/დამტკიცება;
- ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად აუდიტორის შერჩევა;
- არასავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა ხარისხის მონიტორინგის ჩატარების პროფესიულ ორგანიზაციებზე დელეგირების თემაზე ზედამხედველობის სამსახურის წინადადების განხილვა;
- ბაფი-ს ეთიკისა და დისციპლინარული კომიტეტის ინიციატივის განხილვა, რეესტრში აუდიტორის რეგისტრაციის მოქმედი რეგულაციის საკითხზე;
- ბაფის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით საერთაშორისო კონფერენციის დაგეგმვისა და ჩატარების საკითხები;
- პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტში ცვლილებებზე პროექტის მომზადება.

გამგეობის სხდომების საოქმო ჩანაწერებითა და სხვა, შესწავლილი მასალების საფუძველზე დასტურდება, რომ სხდომებზე მიღებული დადგენილებები, ძირითადად, შესრულებულია.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სარევიზიო კომისიამ შეისწავლა გამგეობის საქმიანობის შესაბამისობა წესდებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებთან და ამ ფარგლებში

ჩატარებული სამუშაოები მ.შ. ბაფის ფილიალებთან (ღია წარმომადგენლობები) მიმართებაში, რადგან რეგიონებში წარმომადგენლობების შექმნა და მათი საქმიამობის კოორდინაცია გამგეობის პრეროგატივაა.

საქმიანობის შეფასება: საანგარიშო პერიოდში გამგეობის საქმიანობას ვაფასებთ დადებითად. შეფასების საფუძველია: საერთო კრების მიერ განსაზღვრული სამოქმედო პრიორიტეტების შესრულება; წესდებით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები.

- **რეკომენდაცია:** გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ რეგიონებისადმი მეტი ყურადღების გამოჩენის მიზნით, უნდა გაიზარდოს რეგიონებში პროფესიისა და ბიზნესის წარმომადგენლებთან ბაფის გამგეობისა და შესაბამისი კომიტეტების შეხვედრები. საანგარიშო პერიოდში მხოლოდ ერთ რეგიონში (ქვემო ქართლი) გაიმართა ასეთი ღონისძიება.

2. კომიტეტების საქმიანობა საანგარიშო პერიოდში

ბაფში, მიმდინარე ეტაპზე, ფუნქციონირებს 9 კომიტეტი. კომიტეტების საქმიანობის ზოგადი პრინციპები განსაზღვრულია „კომიტეტების საქმიანობის შესახებ" დებულებაში, ხოლო ცალკეული კომიტეტისათვის გამგეობის მიერ დამტკიცებულია დებულებები, რომლებშიც გაწერილია მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და უფლება-მოვალეობები.

ყველა კომიტეტს შედგენილი და ვებგვერდზე გამოქვეყნებული აქვს 2025-2027 წლების სამოქმედო გეგმები და თითოეულ კომიტეტს, შესაბამისად, გაწეული აქვს სამუშაოები. კომისიამ შეისწავლა კომიტეტის თავმჯდომარეებისა და აღმასრულებელი სტრუქტურის მიერ მოწოდებული მასალები და მათთან კომუნიკაციით მიღებული ინფორმაცია. შესწავლილი მასალების საფუძველზე დავრწმუნდით, რომ თითოეული კომიტეტი მოქმედებდა დებულებებით გათვალისწინებული ვალდებულებებისა და უფლებამოსილების ფარგლებში. საანგარიშო წლის სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული სამუშაოები, ძირითადად, შესრულებულია.

კომიტეტების საქმიანობის შემოწმებისას, მოქმედ დებულებებთან და სხვა ნორმატიულ დოკუმენტებთან არსებითი შენიშვნები არ გვაქვს. აღნიშნულის გათვალისწინებით, კომიტეტების რაოდენობისა და სამუშაოების მოცულობის გათვალისწინებით, კომისიამ მიზანშეწონილად არ ჩათვალა საერთო კრებაზე ცალკეული კომიტეტის საქმიანობის დეტალური მიმოხილვა. ზოგადად აღვნიშნავთ, რომ რამდენიმე კომიტეტის მიერ სრულად არ არის დოკუმენტირებული შესრულებული სამუშაობის შესახებ ინფორმაცია.

საქმიანობის შეფასება: საანგარიშო პერიოდში კომიტეტების საქმიანობას, განზოგადებულად, ვაფასებთ დამაკმაყოფილებლად.

რეკომენდაცია: კომიტეტების დებულებებით გათვალისწინებულია წელიწადში მინიმუმ 4 სხდომის ჩატარება და შესაბამისი საოქმო ჩანაწერების გაკეთება. რამდენიმე კომიტეტს სხდომების ჩატარება არა აქვს დოკუმენტირებული. მიუხედავად იმისა, რომ მოწოდებული მასალებითა და ზეპირი ინფორმაციით (კომიტეტების თავმჯდომარეებთან, აღმასრულებელ დირექტორთან გასაუბრება) დასტურდება კომიტეტების მიერ გაწეული საქმიანობა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ამ კომიტეტის მიერ, დებულების შესაბამისად საოქმო ჩანაწერების წარმოება ან დებულებაში შესაბამისი ცვლილების შეტანა.

3. აღმასრულებელი სტრუქტურის საქმიანობა

საქმიანობის შესაბამისობა ნორმატიულ დოკუმენტებთან

ბაფის საქმიანობის მართვას ახორციელებს აღმასრულებელი სტრუქტურა. იგი უზრუნველყოფს ორგანიზაციისა და კომიტეტების საქმიანობას და ასრულებს გამგეობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. აღმასრულებელი სტრუქტურა ხელმძღვანელობს გამგეობისა და აღმასრულებელი დირექტორის მიერ დამტკიცებული შიდა ნორმატიული აქტებით. კერძოდ, გაწერილი და დამტკიცებულია "მენეჯერული პროცედურები"; თანამშრომელთა საქმიანობა რეგულირდება აღმასრულებელი დირექტორის მიერ დამტკიცებული შიდაგანაწესითა და ბაფის „თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციით". ინსტრუქციაში გაწერილია თითოეული თანამშრომლის უფლება-მოვალეობები, ორგანიზაციის ადმინისტრაციის წევრების ვალდებულებები ჩამოყალიბებული და გამიჯნულია. თანამშრომელთა ვალდებულებების შესრულება კონტროლდება ოფისის მენეჯერისა და აღმასრულებელი დირექტორის მიერ.

თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები შესაბამისობაშია საქართველოს შრომის კოდექსთან. არსებობს კანონმდებლობით განსაზღვრული შრომის უსაფრთხოების შიდა ნორმატიული ბაზა, შრომის უსაფრთხოების თანამშრომელი და დაცულია შრომის უსაფრთხოების მოქმედი ნორმები.

წევრებისა და ბაფის საქმიანობით დაინტერესებული პირებისათვის ინფორმაციის მიწოდება უზრუნველყოფილია ბაფის ვებგვერდის, ყოველთვიური ჟურნალისა და სოციალური ქსელების მეშვეობით, სადაც რეგულარულად ქვეყნდება საქმიანობის ანგარიშები, ბიუჯეტი, ფინანსური ანგარიშგებები და სხვა.

<u>**შეფასება:** სარევიზიო კომისიას მიგვაჩნია, რომ აღმასრულებელი სტრუქტურის მიერ ორგანიზაციის მართვისა და შიდა კონტროლის სისტემა</u> შესაბამისობაშია ბაფის წესდებასა და სხვა ნორმატიულ დოკუმენტებთან, <u>გამართულია და დადებითად ვაფასებთ.</u>

3.2. ბიუჯეტი და ფინანსური ანგარიშგება.

ბაფის აღმასრულებელი სტრუქტურის მიერ ყოველწლიურად მომზადებულ შემოსავლებისა და ხარჯების ასევე, საქმიანობის წლიური ფინანსური შედეგების (ფინანსური ანგარიშგება)

პროექტებს განიხილავს და ამტკიცებს გამგეობა. საანგარიშო პერიოდის საქმიანობაზე და წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩატარებულია გარე აუდიტი და გაცემულია უპირობო დადებითი დასკვნა. დეტალური ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობისა და წლიური ფინანსური ანგარიშგების შესახებ, მუხლობრივად და თანხობრივ პარამეტრებში, დამოუკიდებელი აუდიტორის (შპს „ინტელექტაუდიტი“) დასკვნასთან ერთად, განთავსებულია ვებგვერდზე: baf.ge – „საქმიანობის ანგარიშები“.

სარევიზიო კომისიამ გააკეთა 2025 წლის დაგეგმილი და განხორციელებული საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა.

წარმოგიდგენთ ბაფის 2025 წლის შემოსავლებისა და ხარჯების დაგეგმილი და ფაქტიური შესრულების მონაცემებს:

	შემოსავლები	**დაგეგმილი**	**ფაქტიური**	**გადახრა**	**განმარტება**
1	საწევრო შენატანებით მიღებული შემოსავლები	**334,185**	**339,985**	5 800	
2	განათლებისა და სერტიფიცირების პროგრამებიდან	**588,425**	**604,490**	16 065	
3	სხვა შემოსავლები	**162,100**	**246,560**	84 460	კომენტარი 1
	სულ შემოსავლები:	**1,084,710**	**1,191,035**	106 325	
	ხარჯები				
1	საწევრო შემოსავლებით დაფინანსებული ხარჯები	**345,810**	**343,450**	-2 360	
2	განათლებასა და სერტიფიცირებასთან დაკავშირებული ხარჯები	**567,040**	**569,220**	2 180	
3.	სხვა შემოსავლებთან დაკავშირებული ხარჯები	**160,250**	**223,150**	62 900	კომენტარი 2
	სულ ხარჯი:	**1,073.100**	**1,135,820**		
	ფინანსური შედეგი	**11,610**	**55,015**	43,405	

ბიუჯეტით დაგეგმილი და ფაქტიური შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ძირითად საქმიანობასთან (წევრებთან ურთიერთობა, განათლება და სერტიფიცირება) დაკავშირებული

შემოსავლები და ხარჯები თანხვედრაშია დაგეგმილთან. ცდომილებაა სხვა შემოსალებისა და სხვა ხარჯების მუხლებში, რაც აღმასრულებელი დირექტორის განმარტებით გამოწვეულია:

კომენტარი 1.

შემოსავლების ფაქტიური ზრდა, დაგეგმილთან შედარებით (84 460 ლარი) განაპირობა ფაქტორებმა, რომელთა გათვალისწინება ვერ მოხდებოდა მისი დაგეგმვის დროს, კერძოდ:

- 2025 წლის 28 მაისს დადებული ხელშეკრულება, დიდ ბრიტანეთში რეგისტრირებულ საერთაშორისო ბუღალტერთა ასოციაციასა და ბაფს შორის ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციისათვის სპონსორის ანგარიშის მომზადება/წარდგენასთან დაკავშირებით (20,000 ლარი);
- ბაფის 30-ე ყრილობის საზეიმო ვახშამზე შემოწირულობა წევრების მიერ (6,000 ლარი);
- ბაფის შვილობილი კომპანიის „პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი" აქციონერთა გადაწყვეტილება დივიდენდის განაწილების შესახებ (51,000 ლარი), 2025 წლის თებერვალში;

კომენტარი 2

ხარჯების ზრდა, დაგეგმილთან შედარებით, გამოწვეულია იმავე ფაქტორებით, რითაც გაიხარდა „სხვა შემოსავლები" კერძოდ:

- საერთაშორისო ბუღალტერთა ასოციაციის მიერ ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციისათვის სპონსორის ანგარიშის მომზადება/წარდგენასთან დაკავშირებით გადახდილი მომსახურების თანხა (20,000 ლარი);
- ბაფის 30-ე ყრილობის საზეიმო ვახშამზე გაწეული ხარჯები (24,000 ლარი).

შემოსავლების ფაქტიური ზრდა, დაგეგმილთან შედარებით (84 460 ლარი), განაპირობაფაქტორებმა, რომელთა გათვალისწინება ვერ მოხდებოდა მისი დაგეგმვის დროს, კერძოდ:

სარევიზიო კომისიის წევრები:

1. თინათინ ღვინიფაძე (თავმჯდომარე)
2. ია გოგოლაძე
3. ლალი კობიძე

ანგარიშის მომზადების თარიღი: 25.05.2026 წელი